

შპს „ერქ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები	12
5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები	14
6. ამონაგები	14
7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
9. კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	15
10. მოგების გადასახადი	15
11. ძირითადი საშუალებები	16
12. მარაგები	16
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	16
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
16. მფლობელთა კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება	17
17. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	17
18. ფინანსური რისკების მართვა	18
19. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	19
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19

შპს „ერქ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)


სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	6 ✓	2,697,394	5,205,773
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7	(1,560,819)	(2,957,479)
საერთო მოგება		1,136,575	2,248,294
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,191,397)	(1,592,277)
რეკლამის ხარჯი		(37,149)	(69,110)
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი, წმინდა	9	✓(124,332)	(70,407)
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		✓78,272	(5,953)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(138,031)	510,547
მოგების გადასახადი ხარჯი	10	-	-
წლის მოგება (ზარალი)		(138,031)	510,547
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი (ზარალი)		(138,031)	510,547

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2021 წლის 6 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


დირექტორი




მთავარი ბუღალტერი

შპს „ერკ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	✓ 578,984	681,510
მარაგები	12	✓ 1,409,831	1,120,592
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	✓ 227,380	242,779
ფული და ფულის ექვივალენტები	14	✓ 187,119	153,867
სულ აქტივები		2,403,314	2,198,748
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	✓ 1,013,978	648,554
საგადასახადო ვალდებულება		✓ 13,594	36,421
სულ ვალდებულებები		1,027,572	684,975
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	16	✓ 23,973	23,973
გაუნაწილებელი მოგება	16	✓ 1,351,769	1,489,800
სულ კაპიტალი		1,375,742	1,513,773
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,403,314	2,198,748

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 6 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


დირექტორი




მთავარი ბუღალტერი

შპს „ერკ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018	23,973	979,253	1,003,226
სულ წლის სრული შემოსავალი	-	510,547	510,547
31 დეკემბერი 2019	23,973	1,489,800	1,513,773
სულ წლის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	(138,031)	(138,031)
31 დეკემბერი 2020	23,973	1,351,769	1,375,742

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 6 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


დირექტორი




მთავარი ბუღალტერი

შპს „ერკ გეორგია“


ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე:		(138,031)	510,547
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	11	✓ 119,887	140,127
(მოგება)/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	9	124,332	70,407
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში		106,188	721,081
ცვლილებამდე			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზრდა		(289,239)	(27,882)
დებიტორული დავალიანების (ზრდა)/შემცირება		15,399	(167,938)
სავაჭრო და სხვა ვალდებულების (შემცირება)/ზრდა		252,900	(616,074)
საგადასახადო ვალდებულების ზრდა/(შემცირება)		(22,827)	25,490
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული)/მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		62,421	(65,323)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(17,361)	(10,404)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(17,361)	(10,404)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-	-
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		45,060	(75,727)
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში	14	✓ 153,867	246,253
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	9	(11,808)	(16,659)
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს	14	187,119	153,867

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 6 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


დირექტორი




მთავარი ბუღალტერი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ერქ გეორგია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2015 წლის 27 ოქტომბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით საცალო ვაჭრობა სპეციალიზებულ მაღაზიებში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი - სამგორის რაიონი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. #2, ბლოკი B, შენობა #4, ფართი #G26.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი იყო სს „სააქციო საზოგადოება ერქ პაზარლამა ვე გიიმ სანაი თიჯარეთ“ (რეგისტრაციის ქვეყანა: თურქეთი) საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება.

2. მომზადების საფუძვლები

კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად პირველად მოხდა ფასს-ის გამოყენება. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და შემდეგ პერიოდებზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. აღნიშნულზე მსჯელობისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, მომგებიანობა, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და გაუნაწილებელი მოგების ოდენობა, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

კოვიდ 19 – ის გავლენის შედეგად, მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში სხვადასხვა ინდუსტრია გამოწვევების და სირთულეების წინაშე დადგა. კომპანიამ არსებულ ვითარებაში შეაფასა მომავალი გეგმები (იხ. შენიშვნა 20), შედეგად კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით არსებობს საკმარისი რწმუნება, იმის შესახებ რომ კომპანია ფუნქციონირებას განაგრძობს არანაკლებ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) კომპანია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს

შპს “ერეკ გეორგია“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) კომპანია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ კომპანია არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს (ECL). ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის ECL არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და გაცემული სესხების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას „ფას 9“ ის შესაბამისად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია დავალიანების ამოღების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფას 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა, თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

- *სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL).* ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.
- *სხვა ფინანსური ვალდებულებები.* ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება სავაჭრო და სხვა ვალდებულება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც კომპანიამ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია). თუ ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარე შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს, კომპანიამ ეს ხელშეკრულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა ასახოს სახელშეკრულებო აქტივის ან სახელშეკრულებო ვალდებულების სახით, იმისდა მიხედვით, რა მდგომარეობაა კომპანიის მიერ ვალდებულების შესრულებისა და მომხმარებლის მიერ გადახდის კუთხით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება, ხოლო ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყის ღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება მათი ჩამოფასება უმაღლესი თანხით, შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით. თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის გამოყენების დაწყების შემდეგ. ძირითადი საშუალებების, გარდა მიწისა, ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შემენაზე. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს გაწეული მომსახურებიდან ან საქონლის რეალიზაციიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისთვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები.

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანია ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას; ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

ხარჯები აღიარდება საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ შესაძლებელია მომავალში აქტივისგან მისაღები სარგებლის შემცირების ან ვალდებულების ზრდის საიმედოდ განსაზღვრა. მომსახურების გაწევის განმავლობაში წარმოშობილი დანახარჯები გამოითვლება აღიარებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯი საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ ის მომავალში არ წარმოშობს ეკონომიკურ სარგებელს, ან იმ შემთხვევაში, თუ არ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების პირობებს.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის გაწევა თანამშრომლების მიერ.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული

შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისათვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ასევე გაცემულ სესხებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები: კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობამ განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები, აქტივებში განვითარებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

მარაგების გაუფასურება. მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს. მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის: კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიჯანავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. კომპანია ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. კომპანია გადაწყვეტს, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 16-ის მიღების გავლენას, მაგრამ არ მოელის, რომ ამ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

6. ამონაგები

	2020	2019
თბილისი მოლის რეალიზაცია	783,411	578,778
ბათუმის (მეტრო სიტი) რეალიზაცია	763,338	1,565,464
გლდანი მოლის რეალიზაცია	598,017	1,440,923
ისტ პოინტის რეალიზაცია	552,628	1,620,608
სულ ამონაგები	2,697,394	5,205,773

შპს "ერქ გეორგია"

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით საცალო ვაჭრობა სპეციალიზებულ მაღაზიებში. 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის რეალიზებული საქონლის თვითღირებულებამ ჯამურად შეადგინა 1,560,819 ლარი (2019: 2,957,479 ლარი).

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
იჯარის ხარჯი	381,439	590,021
ხელფასის ხარჯი	367,093	468,449
ცვეთის ხარჯი	119,887	140,127
ბანკის მომსახურებაზე საკომისიოს ხარჯი	36,505	44,657
კომუნალური ხარჯი	34,505	46,744
საკონსულტაციო ხარჯი	34,400	28,407
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	-	-
სხვა	217,568	273,872
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,191,397	1,592,277

9. კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი

	2020	2019
გავლენა		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე	112,524	53,748
ფული და ფულის ეკვივალენტებზე	11,808	16,659
სულ კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	124,332	70,407

ნადდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია, როგორც არასარისკო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო.

10. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდის სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნება არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე (1/85%*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008 – 2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის კომპანიას არ გაუცია დივიდენდი, შესაბამისად არ გადაუხდია მოგების გადასახადი.

11. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება			
31 დეკემბერი 2018	529,213	584,081	1,113,294
შეძენა	5,097	5,307	10,404
31 დეკემბერი 2019	534,310	589,388	1,123,698
შეძენა	17,361	-	17,361
31 დეკემბერი 2020	551,671	589,388	1,141,059
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2018	180,251	121,810	302,061
წლის დარიცხვა	70,272	69,855	140,127
31 დეკემბერი 2019	250,523	191,665	442,188
წლის დარიცხვა	60,228	59,659	119,887
31 დეკემბერი 2020	310,751	251,324	562,075
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	283,787	397,723	681,510
31 დეკემბერი 2020	240,920	338,064	578,984

12. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გასაყიდი საქონელი	1,386,121	1,103,165
სხვა მარაგები	23,710	17,427
სულ მარაგები	1,409,831	1,120,592

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	165,358	165,358
წინასწარი გადახდილი საიჯარო ქირა	57,151	57,151
სხვა მოთხოვნები	4,871	20,270
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	227,380	242,779

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული სალაროში	17,352	17,473
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	169,767	136,394
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	187,119	153,867

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია, როგორც ურისკო.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულება	1,013,924	620,822
გადასახდელი ხელფასები	54	27,732
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,013,978	648,554

16. მფლობელთა კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ კომპანიის საწესდებო კაპიტალში შენატანებით. მფლობელთა კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება მხოლოდ ფულადი შენატანებისგან.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია.

კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია 2020 და 2019 წლების განმავლობაში.

17. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის, ოფიციალურ განცხადებებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში ხშირი ცვლილებებით, რაც ხშირად არაზუსტია, ურთიერთ-საწინააღმდეგოა და ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. გადასახადები ექვემდებარება რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ შემოწმებას და გამოკვლევას, რომლებსაც აქვთ უფლება დააწესონ მკაცრი ჯარიმები, საურავები და დარიცხონ პროცენტი. საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი შესაძლოა გახსნილი იყოს შემოწმებისთვის უფრო მეტხანს.

ამ გარემოებებმა შესაძლოა წარმოქმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც აქ გაცილებით მნიშვნელოვანია ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის ასახული მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მის მიერ ინტერპრეტაციის საფუძველზე.

18. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	187,119	153,867
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	170,229	185,628
სულ ფინანსური აქტივი		357,348	339,495

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

საპროცენტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა კომპანია არ სარგებლობს პროცენტის ფინანსური ვალდებულებებით, შესაბამისად საპროცენტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას კომპანიაზე.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

კურსის ცვლილებების გამო კომპანიის ტრანზაქციების აბსოლუტური უმეტესობა ხორციელდება ლარში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს (წარმოებულ ფინანსურ აქტივებს) რომ მართოს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებით წარმოქმნილი რისკები. ამავდროულად კომპანია ასეთი რისკების შემცირებას ცდილობს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მართვის გზით. კომპანიას არ აქვს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების არსებითი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერსა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავისი ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერი ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაეკემდებარებიან გადახდას.

შპს "ერე გეორგია"

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი არის მოკლევადიანი. შესაბამისად ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილი ლიკვიდურობის პოზიცია ასახავს მხოლოდ 1 წლიან პერიოდს:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ექვივალენტები	187,119	153,867
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	170,229	185,628
სულ	357,348	339,495

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,013,978	648,554
სულ	1,013,978	648,554
წმინდა პოზიცია	(656,630)	(309,059)

19. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ხარჯები	2020	2019
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ხელფასები და პრემია	29,246	37,355
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	367,093	468,449

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 6 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგები შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.